№ 145 17 ენკენისთვე, შაბათი 1866–1877 17 ენკენისთვე, შაბათი № 145

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43
კანტორა რედაქციისა: მელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

ხელის-მოწერა: მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლიდა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაური

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.
ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ოთხი თვის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

1 სექტემბრიდამ ამ წლის დამლევამდე

მიიღება თფილისში, „დროების“ რედაქციაში (ბანოვის ქუჩაზე, სტ. მელიქიშვილის სტამბაში). სხვა ქალაქებში „დროების“ აგენტებთან.

ფასი ოთხი თვის გაზეთისა—4 მან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

ცალკე ნომრები

„დროებისა“

თფილისს გარდა შემდეგ ქალაქებში ისყიდება.

გორში—რკინის გზის სტანციის ბუფეტში.

ქუთაისში: სვიმონ ჩომახიძესთან, ტიპოგრაფიაში, ბულვართან,

ბექათუბანში—სტანციის ბუფეტში,

ხაშურში (მიხაილოვში)—სტანციის ბუფეტში,

ოზურგეთში—თუმანოვის მაღაზიაში,

ახალციხეს—უფ. ილ. ვარძელოვის მაღაზიაში.

ტელეგრამმები

ბრძოლის ველიდამ

(ოფიციალური)

ყარაიალი, 15 სექტემბერს. სოფელს ლავაშთან 11 სექტემბერს განფანტული აჯანყებულები, მეორე დღეს პოლკოვნიკის ნაკაშიძის ცხენოსანი ჯარისაგან დამარცხებულ იქმნა სოფ. პუტიშთან. ამ დამარცხებამ დიდი გავლენა იქონია შუა დაღესტნის დარლოს მაზრის დამშვიდებაზედ. ამ საქმეში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ანდიის, ავარიის და კარატინის მილიციებმა.

ჩვენ მოგვიკლეს და დაგვიჭრეს 4 ასისთავი და 6 მილიციონერი.

ვენა, 15 სექტემბერს. გაზეთი „Fremdenblatt“-ს ბალაცრიდამ სწერენ, რომ ოსმალოებს არტილიერია და ქვეითა ჯარი გამოჰყავთ პუმაროვშიო, მანგალის ჩრდილოეთით. მანგალის მახლობლად დამდგარ რუსის ჯარში რამდონიმე ბატალიონი გაგზავნეს კიდევ.

სერბია ჯერ კიდევ საომრად ემზადება.

ბუხარესტში მოიტანეს 400 ყუთი სხვადა-სხვა საჭირო ნივთები რუსისა და რუმინიის დაჭრილებისათვის.

გორნი-სტუდენ, 4 სექტემბერს. „Голосъ“-ის დეპეშა: „ზვარდიის ჯარი დაუბრკოლებლივ მიდის მომქმედ არმიაში.

ბუხარესტი, 13 სექტემბერს. წვიმების გამო მდ. იანტრისაკენ სამხედრო მოქმედება შეჩერებულია. როგორც ეტყობა, ოსმალოები უკან დაწევას აპირებენ.

მალე ჩვენი ჯარი ყოველის მხრით ერიშით მივა პლევნაზე.

სტამბოლი, 15 სექტემბერს. ბრიტანიის ელჩი აცხადებს, რომ ტყუილიაო ის ხმა, ვითომც ინგლისის ფლოტი ბეზიყის ნავსადგურიდამ უნდა წავიდესო.

სტამბილი, 16 სექტემბერს. „ჰავასის აგენტობა“ გვაცნობებს, რომ სხვა-და-სხვა სახელმწიფოებსა და პორტას შუა დროებით მორიგებაზე ლაპარაკი არისო.

ვენა, 15 სექტემბერს. ვენგრიის ქალაქის პეშტის საქალაქო გამგეობას ოსმალოს სამხედრო მინისტრისაგან მოუვიდა წიგნი, რომელშიაც მადლობას უძლვნის ამ ქალაქს და მთელ ვენგრიის ხალხს ოსმალეთის თანაგრძნობისათვის.

ავსტრიის რეიხსრატის პოლშელ დეპუტატებმა გადაწყვიტეს, რომ აღმოსავლეთის საქმეების თაობაზე ჯერ-ჯერობით არავითარი წინადადება არ შეიტანონ პარლამენტში.

ვენა, 16 სექტემბერს. სპარსეთმა დიდძალი ჯარი მოაგროვა ოსმალოს სამზღვარზე იმ ჰაზრით, რომ დაიცვას თავისი ქვეყანა იმ ოსმალოს ირეგულიარული ჯარისაგან, რომელიც ხშირად გადმოდის ჩვენს სამზღვარზედაო.

ომის ამბები

აზიის ბრძოლის ველიდამ

თფილისიდამ ინგლისურს გაზეთს „Daily News“-ში იწერებიან 7 სექტემბერს:

„როგორც სჩანს, ოქტომბრამდინ მცირე აზიისაკენ რუსების მხრით არაფერ ამბავს არ უნდა მოველოდეთ. იმ დროისთვის მოუვათ იმათ ახალი ჯარები და ზარბაზნები და, უეჭველია, უფრო მხნეთ დაეცემიან მუხთარ-ფაშას და თუ მტრის გარეკა მოახერხეს, მაშინ ხელ-ახლად მიადგებიან ყარსს.

„[illegible] რომ ამ ზაფხულ, სხვათა შორის, იმიტომ ვერ აიღეს რუსებმა ყარსი, რომ ციხის ასაღები ზარბაზნები არ ჰქონიათ საკმაოთ და იმსიდიდე რამსიდიდეც საჭირო იყო.“

გაზეთის „Times“-ის კორრესპონდენტი იწერება მუხთარ-ფაშის არმიის ბანაკიდამ, რომ ერთი ნაწილი ამ არმიისა (25,000 კაცამდინ) თითქმის სრულიად უაქიმოთ არის დატოვებული და ამის გამო ბევრი უპატრონოთ იხოცებაო. თვითონ ყარსშიაც წამალი ძალიან ნაკლებად აქვთ ავათმყოფებისათვისო.

მაგრამ, კორრესპონდენტი გვარწმუნებს რომ ოსმალოს სალდათი ისეთი მაგარი აგებულებისა და მომთმენიაო, რომ ყველაფერს აიტანს, თავის დღეში არ სჩივის, და მუდამ მხნეთ, მარჯვედ არის ბრძოლის ველზედაო.

ბრიტანიის მმართებლობისაგან გამოცემულს უცხო ქვეყნის საქმეთა მინისტრის ქაღალდებში, სხვათა შორის, დაბეჭდილია ის ქაღალდი, რომელიც ინგლისის ოსმალეთ ელჩის ლეიარდისათვის წარუდგენია იქაურ სომხის პატრიარხს ნერსესს.

როგორც „მოსკოვის უწყება“ გვაცნობებს, ამ ქაღალდში მოხსენებულია თურმე, რომ „ოსმალოს ქვეშევრდომ სომხებს არავითარი უკმაყოფილებისა და

საჩივრის განცხადება არ შეუძლიანთ ოსმალეთის მთავრობაზედო, არც პროვინციებში და არც თვითონ სტამბოლშიო, რომ სომხების კეთილ-დღეობისა და თავისუფლებისათვის უმჯობესია ოსმალეთის ქვეშევრდომად იყვნენ, ვიდრემ სხვა რომელიმე სახელმწიფოსიო.“

—

პარიჟის გაზეთს „Le Temps“-ში მოყვანილია შემდეგი წერილი ახლად-მიცალებულის ტიერისა, რომელიც ერთის თავის ნაცნობისათვის მიუწერია და რომელიც ახლანდელს ომიანობას შეეხება (ეს წერილი რუსულს „Сѣверный Вѣстникъ“-შიაც წაიკითხეთ):

„აჰა ოსმალოები იმარჯვებენ. ევროპა უ'ამართლოდ მოექცა იმათა. სამართლიანობა და ევროპის სახელმწიფოთა თანასწორობა მოითხოვდა, რომ იმათთვის ხელი მოგვემართა. ბოლოს სანანებელად შეგვეძნება ამ ქვეყნის ასე მიტოვება. სწორ-მსჯელობის პატივი და მომავალის გამჭრიახობა მათქმევინებს მე ამას. სასურველია, რომ ეს ბრძოლა მალე გათავდეს; საუბედუროთ, მე ვერ ვიტყვი, რომ ეს სურვილი შესრულდეს, რადგან ვიცი, რომ დამარცხებული რუსეთი უფრო მომეტებულს მოითხოვს, ვიდრემ გამარჯვებული. მე მეშინიან, რომ ხელ-მეორედ დაიწყება ბრძოლა, რადგან, ჩემის ჰაზრით, წლევანდელი ომი ვერ დაბოლოვდა [illegible] ქ-ქ ფენებს.“

ევროპის ბრძოლის ველიდამ

ფრანცუზულს გაზეთს „Le Temps“-ში დაბეჭდილია შემდეგი სტამბოლიდამ 3 სექტემბერს გამოგზავნილი ტელეგრამმა:

„დღეს ღამით მოვიდა სტამბოლში სულეიმან-ფაშის ტელეგრამმა, რომელიც გვაცნობებს, რომ რუსებს ხელ-ახლად წაურთმეიათ ჩვენთვის წმ. ნიკოლაის მთა, რომელიც ექვსი საათის განმავლობაში ჩვენს ხელში იყო. რუსებს ახალი ჯარი მოუვიდათ, დაგვეცნენ თავს და იძულებული შევიქენით, რომ ეს სიმაგრე დაგვეთმო; ჩვენის მხრით 100 კაცამდინ დახოცილია და 210 დაჭრილი.“

—

„ფრანკფურტის გაზეთის „ბუხარესტელი კორრესპონდენტი გვარწმუნებს, რომ 4 ევკენისთვემდინ რუსებმა 22,000 კაცი, აქაურს არმიაში დაჭრილები, გაატარეს ამ ქალაქზედაო. მაგრამ ნაკლები ზიანი, უ'ბედელია, არც ოსმალოს ჯარს მისცემიაო; მარტო შიპკოსთან ბრძოლაში სულეიმან-ფაშას 10,000 კაცი მოუკლეს და დაუჭრესო.

—

ბუხარესტიდამ იწერებიან ფენის გაზეთებში, რომ რუსები საზამთროთ თავიანთ ჯარისათვის რუმინიაში ყაზარმებს ამზადებენო; აგრეთვე მაჩინში, ბირსოვოში და ნიკოპოლში სხვა-და-სხვა მეიჯარადრებთან პირობა აქვთ იმათ შეკრულიო, რომ ჯარისათვის საზამთროთ სურსათი დაამზადონო.

როგორც წარსულს ნომერში დაბეჭდილი დეპეშა გვაცნობებდა, ოსმალეთსაც ინგლისის ვაჭრებისათვის საზამთროტანთსაცმელის დამზადება შეუკვეთნი არმიისათვის. ამნაირად, ცხადია, რომ ბრძოლა მომავალ წლამდინ გასტანს.

საქართველო

ლეკების არეულობა

სიღნაღი, 12 სექტემბერს. ამ თვის ხუთს მოვიდა სიღნაღში ტელეგრამმა, რომელიც გვაცნობებდა, რომ ურიცხვი აჯანყებული ლეკის ჯარი დაეცა მიხაილოვკას და ქაბალსაო. ამამბის გამგონე სიღნაღელებმა შექმნეს ზარ-ზარი; ყველა მოვაჭრე ხალხმა დაკეტეს თავიანთი სავაჭრო დუქნები და მიმართეს აქამომდე დაჭანგულს და ხელ-უხლებელ თოფ-იარაღს.

შეზდის სასამართლოში გაახშირეს ბრძანებეების წერა მამასახლისებთან, რომლებითაც აცნობებდნენ, რომ ჯარები დაემზადებინათ. თვით მაზრის უფროსი რამოდენიმე ჯარით გაემგზავრა მტრის განსადევნათ ალაზნის გაღმა მხრისკენ.

როგორც ამბობენ, გვარიანი ზიანი მოუციათ ქართველებისათვის ლეკებსა. ს. მიხაილოვკაში დაუხოცნიათ რამოდენიმე მცხოვრებნი, ქაბალში მეთუთუნეები და აგრეთვე წაუტეკნიათ რამოდენიმე თავი საქონელი.

ზოგიერთ სოფლებში ძრიელ შიშობს ხალხი; სულ ტყეებში მიდიან თავის შესაფარავად; რაც რამ ბარგ-ბურგი და ნივთეულობა ჰქონდათ, ორმოებში დამალეს.

სოფლებიდამ თუმცა ბლომა ჯარი მოგროვდა, მაგრამ რა სარგებელი! ერთ ქართველს ვერ ნახავთ, რომ ხეირიანი თოფი ჰქონდესთ: ზოგს ჩახმახი არ უვარგა, ზოგს კონდახი და ზოგს ტალიც არა აქვს.

მაგრამ ჩვენი მაზრის უფროსის მზრუნველობით ეს უბედურობა დამშვიდდა: 9 ამ თვეს, ღამის 12 საათზე, მოვიდა ლაგოდახიდამ ტელეგრამმა იმისაგან, რომელიც გვაცნობებს, რომ ბეჟანიანში, საცხენისის მახლობლად, დაუმარცხებია ჩვენ ჯარს აჯანყებული ლეკები, სადაც 200 კაცამდი დაუხოცნიათ.

იმედი მაქვს მოკლე ხანში დაწვრილებით გაცნობოთ ამ არეულობაზედ, რაც კი მოხდება.

მიხეილ ბაგაშელოვი

დღიური

*** მოგვყავს ზოგიერთი ალაგი იმ კორრესპონდენციიდამ, რომელიც გაზეთის „ქავკაზის“ უკანასკნელს ნომერში არის დაბეჭდილი შესახებ ლეკების სოფ. მიხაილოვკაზე დაცემისა (ეს სოფელი ლაგოდახიდამ ექვს ვერსზედ იქნება):

„დღეს, 5 სექტემბერს, ასი კაცი ლეკი დაეცა სოფ. მიხაილოვკას და თითქმის ნახევარი სოფელი სრულიად აიკლეს. სოფელში არავინ არა იცოდა-რა და ამიტომ კაცები, შვიდს გარდა, ყველანი მუშაობაზე იყვნენ გასულნი. ამ ას კაცში ზოგიერთები წითელი ფესით იყვნენ და ზოგს თეთრი ჩალმა ეხვიათ თავზე.

„სულ ერთი საათი დარჩნენ ისინი მიხაილოვკაში. იმათ მოჰკლეს მამასახლისი ანიკინი და ერთი ქართველი მწყემსი. სახლებში რაც ნივთეულება ნახეს, წაიღეს; წაასხეს აგრეთვე დიდ-ძალი საქონელი.

„შესანიშნავია, რომ, თუმცა ქალები დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ ლეკებს, როცა სახლებში შეუცვივდნენ, მაგრამ არც ერთი ქალისათვის, არც ყმაწვილისათვის ხელი არ უხლიათ..“

...*** თფილისში კარგა ხშირად ჩამოჰყავთ თუ ალექსანდრაპოლისა და თუ რიონის ჯარიდამ გამოქცეული ლეკები და ჩეჩნები, რომელნიც მილიციონერებად იყვნენ გაყვანილნი ამ ომის დაწყებისა-თანავე.

საზოგადოთ ამ ლეკებზე და ჩეჩნებზე ამბობენ და იწერებიან, რომ მომეტებულნაწილი იმათგანი გულ-მოდგინეთ და რიგიანათ არ ებრძვის მტერსაო, ურანი ნებას არ აძლევს იმათაო, რომ თავისი თანა-მორწმუნე ოსმალებს თოფი ესროლოსო და სხვ.

აი ახლაც გუშინწინ ჩვენს ქ. ლაქში ჩამოიყვანეს 14 ჩეჩენი, რომელნიც ალექსანდრაპოლის კორპუსიდამ გამოქცეულან და გზაზედ დაუჭერიათ.

ყველა ამგვარ გამოქცეულებს, რასაკვირველია, აქ სასტიკი სასჯელი მოელის.

*** ჩვენს გაზეთში იყო ამას წინათ გამოცხადებული, რომ ჩვენი შაურიანი წიგნების გამომცემელნი, სხვათა შორის, ამ მოკლე ხანში ისტორიული მოთხრობის „ასპინძის ომის“ და ლექსის „იმედის“ გამოცემას აპირებენ-მეთქი. იგივე გამომცემელნი გვთხოვენ ახლა გამოვაცხადოთ, რომ ეს ჩინებული თხზულებანი, სხვა-და სხვა, მათგან დამოუკიდებულის მიზეზის გამო, არ იბეჭდება.

„დროების“ კორრესპონდენცია

ჭალადიდი, 13 ენკენისთვეს. სოფ. ჭალადიდს და სხვა ახლო-მახლო სოფ-

ლებში ამ დროებში ძრიელ გამრავლდა მგლების ხროვა, რომელიც უმოწყალოთ იტაცებდა შინიურ პირუტყვებს და მით აძლევდა დიდ ზიანს აქაურ ხალხს, რომელსაც ვერა ვითარი საშუალება ვერ გამოეგონა ამის წინაალმდეგ. დღითი-დღე მგლები უფრო თამამათ ეკიდებოდნენ თავის ხელობას, ასე რომ კაცის მოურიდებლად, შუადღეზე შამოდიოდენ სოფლათ და სჭამდენ პირუტყვებს.

თითქო ეგ-ღა გვაკლდა ამ სამწუხარო დროს, როცა ცალკე ომი და ცალკე სასტიკი პირუტყვის ჟამი საშინელი შევიწროების ბეჭედს ასხმენ ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებას.

ერთმა აქაურმა თავადმა მანუჩარ ვახტანგის ძე ჭოჩაქიძემ გამოიგონა ერთი უებარი საშუალება, რომლის შემწეობით ადვილად იხოცება მგლები:

ეს იღებს პატარა ნაჭერ-ნაჭერ ხორცს და განსაკუთრებით იმისგან გამოგონილი წამლით შეზავებულს ხორცის ნაჭრებს სტოებს აქა იქ ტყეებში, სადაც მგლები ბინადრობენ, მომაღლოდ, ხეზე ჩამოკიდებულს, რომ წვრილმა მხეცებმა არ მოიტაცონ; შეჭამს თუ არა ამნაირ შეკაზმულს ხორცს მგელი, მაშინვე კვდება.

ხშირად უნახავთ ამ ტყეებში ათი-თუთხმეტი მგელი ერთად ფეხ-გაჭიმული.

როგორც დაიწყო თ. ჭოჩაქიძემ ამ საშუალების ხმარება, ამ დღიდგან ჩვენში პირუტყვები უვნებლად ბალახობენ თავიანთ საძოვარ ადგილებზედ და მცხოვრებლებიც უფრო გულ დამშვიდებული ეწევიან თავიანთ მუშაობას. უკანასკნელ დროებში ძვირათ მოხთება ხოლმე, რომ მგელმა ვინმეს რამე დააკლოს.

სასურველია, რომ სხვა სოფლებმაც მიჰბაძონ ჭალადიდელებს ამ მავნებელ მხეცების მოსასპობლად.

ანტონ სურგულაძე

უცხო ქვეყნები

ოსმალეთი

სტამბოლის მცხოვრებლებს მეჰმედ-ალი-ფაშასთვის, ოსმან, სულეიმან და მუხთარ-ფაშისათვის, ხალხის თანაგრძნობისა და მადლობის ნიშნად, გაუგზავნიათ მშვენიერად ნაკეთები ვერცხლის პატარა ფიცრები, რომელზედაც ოქროს ასოებითა და ბრილიანტებით გამოჭრილია თურმე სხვა-და-სხვა მუხლები ყორანიდამ.

— სომხების „ნაციონალურ კრებას" გადაუწყვეტია სტამბოლში, რომ მადლობის ადრესი წარუდგინოს ხონთქარს იმ პატივის-ცემისათვის, რომელიც იმან აღმოაჩინა იმათ პატრიარქის შესახებ და იმისთვისაც, რომ ყურადღება აქვს მიქცეული, რომ ქურთებისა და ბაშიბუზუკებისაგან მცირე-აზიის სომხები არ იქნენ შეწუხებულნი.

— ერთს ფრანცუზულს გაზეთში სტამბოლიდამ იწერებიან, რომ იქაურ ურიებს გადაუწყვეტიათ, რომ რაც იმათ სინაგოგებში (სალოცავში) ოქროსა და ვერცხლის მომეტებული ნივთებია, გაჰყიდონ და აქედამ ამოგებული ფული ამ ომში დაჭრილ ოსმალოს მეომრების სასარგებლოდ შესწირონ.

საფრანგეთი

ზოგიერთს ფრანცუზულს გაზეთებში იყო ამას წინათ გამოცხადებული, ვითომც ჟულ გრევი უარს ამბობს საფრანგეთის რესპუბლიკურ პარტიის მოთაობაზედ და ის ურჩევსო ამ პარტიას, რომ მაკ-მაჰონის პოლიტიკას შეურთდესო.

— ამ საგნის თაობაზედ ჟულ გრევიმ დაბეჭდა გაზეთს „La France"-ში წერილი, რომელშიაც აცხადებს, რომ ყველა ეს ხმები ტყუილი და უსაფუძვლო ხმები არისო.

საბაასო

ბატონო რედაქტორო!

„დროების" მე-117 ნომერში ოზურგეთელი კორრესპონდენტი უჩივის საზოგადოთ „ბუცელ-ბატონებს", რომ დიდი ზარალი მისცა გურიაში მცხოვრებლებს და განსაკუთრებით ნიგოითის და ლანჩხუთის საზოგადოების მცხოვრებლებსო და მაპრალებს თვით მე, მამასახლისს, რომ არავითარი ყურადღება არ მიაქციაო.

ჩემგან ნიგოითის საზოგადოების მცხოვრებლებს, ამ „მუცელ-ბატონების" სენის გაჩენის მოსპობის შესახებ, თუ ყურადღება აკლია, მაშინ ზღვასაც ქვიშა უნდა აკლდეს. ანდაზაა ნათქვამი: „უსამართლოებამ პალიასტომი დააქციაო!" — სწორეთ უსამართლოთ და მოუსაზრებლად დაუწერია ჩემზედ უფალს კორრესპონდენტს.

„მუცელ-ბატონები" არა თუ მარტო გურიაში ყოფილიყოს გავრცელებული და განსაკუთრებით ნიგოითის და ლანჩხუთის საზოგადოებაში, არამედ საზოგადოთ მთელ ქვემო-იმერეთშია, და ყოველგან საკმაო ზარალი მოახდინა.

გაჩენისა-თანავე მუცელასი ნიგოითის საზოგადოებაში, მე მაშინვე მოვახსენე რაპორტით უფალს ოზურგეთის უეზდის ნაჩალნიკს და მოვითხოვეთ ექიმი; მაგრამ, მოგეხსენებათ, ყოველ უეზდში თითო უეზდის ექიმი და ორ-ორი ფელშერებია და ოზურგეთის უეზდი შესდგება ოც-და-ხუთი საზოგადოებისაგან და „მუცელ-ბატონები" ყოველგან მოდებული იყო და ყველა საზოგადოებიდგან თხოულობდნენ ექიმს და რამდენ საზოგადოების მცხოვრებლებს უნდა ყოფნოდათ ერთი ექიმი და ორი ფელშერი? დაგვიანდა რა უეზდის სასამართლოდგან ჩემი რაპორტის პასუხს, მე განმეორებით გავგზავნე რაპორტი ოზურგეთის უეზდის სასამართლოში და მოვითხოვე დაჩქარებით ექიმი; სანამ ჩემი განმეორებითი რაპორტი მივიდოდა უეზდის სასამართლოში იმათ კიდევაც გამოეგზავნათ ფელშერი, რომელმანც დაიარა ავათმყოფები და დაუნიშნა რეცეპტით წამლები და ზოგს თავისი წამლებიც დაურიგა. მაგრამ ყველას სად ჩამოხდებოდა წამალი! ოზურგეთის აფთიაკი ჩვენზე ოც-და-ათი ვერსით დაშორებულია, ხოლო ქუთაისის 65 ვერსით და ავათმყოფების ჭირისუფლებს ავათ-მყოფისთვის უნდა მოევლოთ თუ წამლისთვის უნდა ევლოთ ოზურგეთში ან ქუთაისშიდ? მუცელა კი თან-და-თან ძლიერდებოდა.

მერმეთ მოვიდა ექიმი და ვსთხოვეთ მას რამოდენიმე დღის ვადით დაეტოვებინა ნიგოითის საზოგადოებაშიდ ფელშერი. „თუმცა ძლიერ მაწუხებენ და მთხოვენ სხვა საზოგადოებაში ფელშერსო, მუცელა მთელ უეზდში არის მოდებულიო, მაგრამ რა გაეწყობა, ერთი კვირის ვადით იყოს ნიგოითის საზოგადოებაში და მერმე კი უნდა გამოუშვათო." ჩვენ მაგაზედ დიდი მადლობა მოვახსენეთ ექიმს და შევპირდით ერთ კვირის მერმეთ გაშობა.

წამლისთვის ვაგზავნით ხშირათ იასაულს ხან ოზურგეთში და ხან ქუთაისში და მოგვქონდა წამლები თითო-ორ-ორ თუმნობით. ფულის გზავნას, რომ ვერ აუვედით, ხელ-წერილით გავიტანეთ აფთიაკიდგან წამლები, რომლის ფასი ერთი თვის განმავალობაში უნდა წარმედგინა. მაგრამ ოზურგეთის აფთიაკიდგან წამლები ძლიერ ძვირად გვიჯდებოდა, ოზურგეთის აფთიაკარმა ძლიერ მოითქვა სული მუცელ-ბატონების წყალობით და როცა ფულით გული გაიმსეს, მერმეთ ხეირიანათ ენის გაცემასაც არ კადრულობდნენ და წამლის საყიდლათ გაგზავნილ კაცებს მთელ დღეს აყუნცულებდნენ (აცდევინებდნენ) აფთეკის კარებთან.

მერმეთ ისევ ქუთაისიდგან მოვიტანეთ მუცელას წამლები ხუთი თუმნის ერთად, თითო კვირის განმავალობაში ილეოდა წამალი, რომელიც მიჰქონდათ მცხოვრებლებს იეფად და ნისიათ; სამი გზობა მოვიტანეთ ქუთაისიდგან წამალი და დიდს მადლობას გამოუცხადებთ ქოკოჩოვის აფთიაკის მოიჯარადრეს და პროვიზორს, რომელიც იაფათ და თავაზიანათ გვიგზავნიდა წამლებს.

ამ ნაირად, ოზურგეთის უეზდის ექიმის დარიგებით, კარგი აფთიაკი გვქონდა გამართული ნიგოითის შკოლის ოთახში, რომლის მმართველად გვყავდა ნიგოითის შკოლის მასწავლებელი უ. ძალან დარაშვილი და ბევრი სასიკვდილე მოვაბრუნეთ ამ წამლების საშუალებით. ამის-

თანა წვალებაში ვიყავით ამ ორი თვის განმავალობაში.

კორესპონდენტის სიტყვით, მე ვითომც პოდრათები მქონდეს აღებული და თვეში 300 თუმანს ვღებულობდე. მე არავითარი ფოდრათი არა მქონია არც ახლა მაქვს. თვეში 300 თუმანს კი არა, სამ კაპეიკსაც ვერ ვღებულობ ბეჭდის ფულს.

გთხოვეთ, ბატონო რედაქტორო, უმორჩილესად ეს ჩემი მოხსენება მოისმინოთ და მისცეთ ადგილი თქვენ პატივ-ცემულ „დროების“ გაზეთში.

ნიგოითის სოფლის საზოგადოების მამასახლისი

ივანე ასკურავა

ნარევი

როგორც იქნა, ნამდვილი ვინაობა შევიტყეთ პლევნის გმირის ოსმან-ფაშასი.

„კელნის გაზეთის“ სიტყვით, ეს გამოჩენილი ოსმალოს სარდალი შთამომავლობით ნამდვილი ოსმალო და მაჰმადიანი ყოფილა. ის არის სტამბოლში დაბადებული, სადაც ჯერ ერთს პატარა შკოლაში უსწავლია და მერე სამხედრო სასწავლებელში შეუსრულებია სწავლა. ყველაზე უკეთესად სწავლობდა ის ამ შკოლებშიო.

1853 წელს, ყირიმის ომის დროს, ოსმან-ფაშა შუმლის გარნიზონში ყოფილა აფიცრის ჩინით, სადაც იმის მხნეობა უფროსებს შეუნიშნავთ და კაპიტნის ჩინით დაუჯილდოვებიათ. ყირიმის ომის შემდეგ, ოსმანს კანდიის კუნძულის ჯარში უმსახურნია; ბოლოს სტამბოლში გადმოუყვანიათ, სადაც მიუღია ღენერლობა და აქედამ, შარშანდელ სერბიის ბრძოლის დროს, ამ ქვეყ-ნის დასამორჩილებლად გაუგზავნიათ; ზაიჩართან გამარჯვებას ოსმან-ფაშის სიმარჯვესა და ნიჭიერ გამჭრიახობას მიაწერენ.

იმის მოქმედება ახლანდელ ომში, განსაკუთრებით პლევნასთან, გვიჩვენებს, რომ ის ერთი უკეთესთაგანი სტრატეგიკოსი და მხნე ღენერალია მთელს ოსმალოს ჯარში.

* * *

ვენის გაზეთებში დაბეჭდილია იქაური პოლიციის განცხადება, რომელშიაც იწერებიან, რომ ეს პოლიცია ეძებს ორს სომეხს: ერთს თფილისის მცხოვრებელს—ბარდიშევს და მეორე არზრუმელს სტეფან აგობს, რომელთაც აბრალებენ ვენაში და ევროპის ზოგიერთ სხვა ქალაქებში რუსის ყალბი ბილეთების გავრცელებას.

* * *

ოსმალეთის სტატისტიკურმა დეპარტამენტმა გამოსცა წელს ამ სახელმწიფოს ხალხის ანგარიში, რომლიდამაც ვტყობულობთ, რომ მთელს ოსმალეთში ცხოვრებს სულ 19,500,000 სული.

აქედამ ო ს მ ა ლ ო ს ა ზ ი ა შ ი (ტრიპოლით)—9,039,556, ე. ი. ბაღდადის ვილაიეტში (გუბერნიაში)—1,604,200, ტრიპოლიში—1,010,000, არზრუმის ვილაიეტში—733,140, სმირნაში—770,000, ურთები და სხვა უბინაო ხალხები—2,000,000.

ე ვ რ ო პ ი ს ოსმალეთში ცხოვრებს-4,700,200 სული, აქედამ: ბოსნიაში—1,013,100, დუნაის ვილაიეტში—907,780, ადრიანოპოლის—652,680.

თვითონ სტამბოლში და იმის არე-მარე ადგილებში 700,000 მცხოვრებელი ითვლება.

განცხადებანი

გამოვიდა ამ დღეებში

წესდება

სასჯელთაზედა რომელთაცა გადასწყვეტენ მომრიგებელნი მსაჯულნი.

კასსაციონი განაჩენებითა და

„თამბაქიას წესდება“

ისყიდება თ ფ ი ლ ი ს შ ი, ტერ-გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, ქ უ თ ა ი ს შ ი ტერ-გრიქუროვის აგენტთან და ს ი ღ ნ ა-ღ შ ი უ. ნ. ზამრეკელთან.

(3—1)

გაკვეთილები თეორეტიულის და პრაქტიკულის ბუღალტერიისა

ორ-გვარის ნუ იტალიურისა, ბანკის, ფაბრიკის, სავაჭრო, კომისიურის და აგრეთვე სავაჭრო არითმეტიკისა.

ადრესი: ლაბორატორიის ქუჩა, ნამესტნიკის ბაღის პირ-და-პირ, პსაროვის სახლებში, № 14.

უმორჩილესად ვსთხოვ იმ პირებს, ვინც 1875 წლიდამ ვიდრე 1876 წლამდი ჩემი წიგნის მაღაზიის ქართული წიგნების გასაღებაში იღებდა მონაწილეობას, რომ რაც გაყიდული აქვთ წიგნები, იმის ანგარიში გამომიგზავნონ.

ვისგანაც ვერ მივიღებ პასუხს, შემდეგ იძულებული ვიქნები **სახელი და გვარი გამოვაცხადო გაზეთში** და ვიზე რამდენი იქნება დარჩენილი **ფული.** ამას იმიტომ ვაცხადებ, რომ წიგნის პატრონები მე ანგარიშს მთხოვენ და ვერ მიმიცია დღემდინ, რადგან აგენტები ფულებს არ მიგზავნიან. **ადრესი ჩემი:** Въ Тифлисъ, Типогр. Меликова, Арсену Каландадзе. არსენ კალანდაძე. 3—3

ქუთაისში მიიღებენ ყმაწვილებს საშუალ სასწავლებლების მესამე კლასამდინ **მოსამზადებლად.**

მსურველს შეუძლიან იკითხოს „კ ო ლ ხ ი დ ი ს“ ს ა ს ტ უ მ რ ო შ ი მ ა დ ა მ **დიუპონი.**

დაიბეჭდა და გამოვიდა სტამბიდამ

ლ ე ქ ს ი

თ. ი. ზ. ჩოლაყაშვილის გარდაცვალებაზედ

თ ა ვ ი ს ს უ რ ა თ ი თ

თქმული

დ ა ვ ი თ ბ ი ვ ი შ ვ ი ლ ი ს ა გ ა ნ

ისყიდება სხვა და სხვა წიგნის მაღაზიებში.

ფასი ყველგან ორი შაური.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
გორი . .	11	58	9	43	2	40	1	23
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია .	7	41			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	9	40			9	75	5	42
ფოთი . .	9	13						
ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
ყვირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
გორი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი	მ.	კაპ.
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
გორს, დუშეთს, სიღნაღს	-	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში	3	75

ფოშტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ.
ღია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

ბირჟა	მან.	კაპ.
პეტერბურგი, 9 ენკენის.		
ერთი ჰაწეთი ლირს:		
ლონდონში 24 პენსი.	—	78
პარიჟში 259 სანტიმი.	—	81
ესკონტი(სარგებლისფასი)	7½	—
ბანკის ბილეთი 5%	94	—
მოგებიანი(პირველისესხი)	208	25
მოგებიანი (მეორე სესხი)	208	75
ბირაოს ფურცლები:		
თფილ. სააზნ. ბანკისა.	—	—
ხერსონის ბანკის (5½	85	25
მოსკოვის (5%). . .	85	50
ა ქ ც ი ე ბ ი:		
ოდესის სავაჭრო ბანკის	177	—
ფოთი-თფილ. რკინ. გზის	—	—
შავი ზღვის ცეცხ. გემების	527	—
კავკაზის და მერკურის. .	225	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	745	50
პეტერბ. საზღვევ. საზ.	235	50
მოსკოვის საზღვევ. საზ.	268	—

მაზანდა	მან	კაპ
თფილისი, 16 ენკენის.		
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ.	1	60
ფქვილი წითელი. . .	1	40
ქერი ფუთი. . . .	1	10
ბამბა ერევნისა, ფუთი .	8	—
—ამერიკისა, ფუთი. .	8	50
ბაპენტილი ბამბა ფთ.	9	—
მატყლი თუშური ფთ .	7	—
—თარაქამისა ფთ. .	3	50
აბრეშუმი ნუხური სტ.	3	—
ქონი, ფუთი. . .	5	80
ქონის სანთელი ფუთი.	7	80
სტეარინის სანთელი, ფ.	12	50
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	63
—ცხვრისა, ლიტრა .	—	63
სპირტი, გრადუსი .	—	12
შაქარი, ბროც. ფუთი .	8	20
—ფხვნილი ფუთი . .	7	—
ყავა გრგვალი, ფუთი .	26	—
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	11	—
ოქრო ½ იმპერიალი. .	7	90

Дозволено цензурою. Тифлисъ, 17 Сентября 1877 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.